ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ევროპული ლიტერატურა / European Literature

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ფილოლოგიის დოქტორი / PhD in Philology

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, რომელთაგან 60 ECTS განკუთვნილია სასწავლო კომპონენტისათვის, დანარჩენი 120 ECTS კრედიტი ეთმობა კვლევით კომპონენტს.

სწავლების ენა: ქართული და ფრანგული (სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი სრულდება როგორც ქართულ, ისე ფრანგულ ენაზე. ბოლონიის უნივერსიტეტში სტუდენტთა მივლინების შემთხვევაში სასწავლო კომპონენტის ნაწილიც შესრულდება ფრანგულად).

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფილოლოგიის რომელიმე დარგში/ქვედარგში. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება აგრეთვე: ფრანგული ენის ცოდნის C1 დონეზე დადასტურება (შესაბამისი გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატის წარმოდგენა); სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; გასაუბრების შედეგების მიხედვით დოქტორანტურაში მიმღები კომისიის მიერ გაწეული რეკომენდაცია.

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ირინე დარჩია (თსუ), პროფ. ანა სონჩინი (ბოლონიის უნივერსიტეტი)

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: სადოქტორო პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობოთ (იტალია). აღნიშნული პროგრამის განხორციელებით თსუ უერთდება რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებულ საერთაშორისო ქსელს (DESE). იხ.: http://www2.lingue.unibo.it/dese/
ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს ჰყავთ ორი ხელმძღვანელი, ერთი თსუ–ს, ხოლო მეორე – ბოლონიის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომლებიც ერთობლივად წარმართავენ დოქტორანტის სადისერტაციო

ნაშრომის მომზადების პროცესს. დოქტორანტები წელიწადში ერთხელ, ბოლონიის უნივერსიტეტისა და თსუ–ს თანადაფინანსებით მონაწილეობენ ბელგიაში, სენეფის კოლეჯში ორგანიზებულ საერთაშორისო სემინარში, სადაც ევროპელ კოლეგებს წარუდგენენ თავისი კვლევის შედეგებს და მონაწილეობენ თემატურ დისკუსიებში. აქვე ხდება დოქტორანტების ნაშრომების შეფასება საერთაშორისო კომისიის მიერ.

ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს – დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში – ეძლევათ საშუალება, რომ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სწავლის გარკვეული პერიოდი (არანაკლებ ერთი სემესტრისა) გაატარონ ბოლონიის უნივერსიტეტში და აღნიშნული უნივერსიტეტის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მათ მიენიჭებათ არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არამედ ბოლონიის უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხიც. თსუ–სა და ბოლონიის უნივერსიტეტის ორმაგი ხარისხის მინიჭების პროცედურა რეგულირდება თსუ-სა და ბოლონიის უნივერსიტეტს შორის დადებული სპეციალური ხელშეკრულებებით.

პროგრამის მიზანი: სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ევროპული ლიტერატურის მკვლევარები, რომლებიც შეძლებენ სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა კულტურისა და ცივილიზაციის ფარგლებში სხვადასხვა ჟანრსა და ენაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების კვლევას ფრანგულ ენაზე, კომპარატივისტული და ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით.

გარდა ამისა, სადოქტორო პროგრამის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი ფილოლოგების, კერძოდ, ევროპული ლიტერატურის სპეციალისტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მომავალი პედაგოგიური კადრების მომზადება, რომელთა დარგობრივი ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ზოგადი კომპეტენციები უზრუნველყოფს მათ დასაქმებას დიდაქტიკურ და სამეცნიერო, მთარგმნელობით, საგამომცემლო, მასმედიის სფეროებში, სასულიერო–საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ.

ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს:

- ევროპული კულტურული ფასეულობების შესწავლასა და ევროპული ლიტერატურის კომპლექსური კვლევების განხორციელებას;
- ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში;
- ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის გაცნობას ევროპული აკადემიური წრეებისათვის;
- სწავლებისა და კვლევის ევროპული სტანდარტების დანერგვას ქართულ სამეცნიერო წრეებში;

- სამხრეთ კავკასიისა და ევროპის პირველი უნივერსიტეტების, თსუ–სა და ბოლონიის უნივერსიტეტს შორის უკვე არსებული ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას;
- თსუ–ს ინტეგრაციას საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში.

საკვლევი პრობლემები: ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის კვლევის თემატიკა განისაზღვრება თსუ–ს პარნტიორი საერთაშორისო ქსელის (DESE) მონაწილეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, ხოლო დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომების სათაურები, კვლევის ძირითადი მიმართულებები და პრობლემატიკა დგინდება თსუ–ს პარტნიორ ბოლონიის უნივერსიტეტთან შეთანხებით. 2010–2013 წლებში ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის ძირითადი საკვლევი თემაა „ბიბლია ევროპულ ლიტერატურაში“, 2011–2014 წლებისა – „აღმოსავლეთი ევროპულ ლიტერატურაში“, ხოლო 2012–2014 წლებისა „სამეცნიერო ფანტასტიკა“. თითოეული დოქტორანტი ვალდებულია, რომ სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სამეცნიერო პრობლემა იკვლიოს არანაკლებ სამი ევროპული ლიტერატურის მაგალითზე. დეტალურად იხ.: http://www2.lingue.unibo.it/dese/

პროგრამის შედეგი: ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს შემდეგ დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს აქვს მის მიერ კვლევის ობიექტად არჩეული ლიტერატურული ნაწარმოებების ღრმა, სისტემური და უახლესი ცოდნა, რომელიც ეფუძნება თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერებების უახლეს მიღწევებს და რომელიც კურსდამთავრებულს ინოვაციური მეთოდების გამოყენებისა და საერთაშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე მუშაობის საშუალებას აძლევს;
- კურსდამთავრებული ახდენს არსებული ცოდნის ხელახალ გააზრებასა და ნაწილობრივ გადაფასებას, რაც კვლევის ობიექტად არჩეულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ტრადიციისა და ნოვატორობის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა და აღნიშნულ ნაწარმოებებს წარმოგვიდგენს შესაბამისი ავტორის/ავტორების, ჟანრის, ლიტერატურული მიმდინარეობის, ეპოქის და ა.შ. კონტექსტში;
- კურსდამთავრებული ფლობს ფილოლოგიური, ლინგვისტური და ლიტერატურათმოცდნეობითი, კომპარატივისტული კვლევის მეთოდებს;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ნებისმიერი სირთულის, მხატვრული და სამეცნიერო შინაარსის, ფრანგულენოვანი ტექსტის თარგმნა, დეტალური ფილოლოგიური ანალიზი და ინტერპრეტაცია;
- სწავლების უახლესი მეთოდების, პრინციპებისა და მიდგომების გამოყენება საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების შემთხვევაში;
- სხვადასხვა სახის სასწავლო და სამეცნიერო შინაარსისა და მიზანდასახულობის პროექტების შემუშავება და დაფინანსების მოსაპოვებლად წარდგენა;
- ფილოლოგიური მეცნიერებების სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა;
- ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებში;

დასკვნის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- ფილოლოგიური მეცნიერებების სფეროში არსებული უახლესი ინფორმაციის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- ფილოლოგიური მეცნიერებების სფეროში არსებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი, რაც კვლევის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებას, ან განვითარებას უწყობს ხელს;
- სხვადასხვა შინაარსისა და სირთულის ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური, სტრატეგიული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი;

კომუნიკაციის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- რთული და სადავო ინფორმაციის ეფექტურად გადაცემის, ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში არგუმენტირებულად და მკაფიოდ წარმოდგენის, პრეზენტაციის უნარი კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის ამ უკანასკნელთა მომზადების ხარისხის გათვალისწინებით, ქართულ, ფრანგულ და ერთ–ერთ სხვა ევროპულ ენაზე, რომელსაც ის დამატებით ფლობს;

- საჯარო გამოსვლის ტექსტის, სამეცნიერო ნაშრომის ქართულ და ფრანგულ ენებზე შექმნის უნარი აკადემიური ნორმებისა და სტანდარტების დაცვით;
- საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან სამეცნიერო დისკუსიებში მონაწილეობისა და აუდიტორიის კითხვებზე არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი ქართულ და ფრანგულ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვითა და სპეციალური სამეცნიერო ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების, თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში არსებული მრავალრიცხოვანი ელექტრონული ინფორმაციის ოპერატიულად მოძიების, შემოქმედებითად და კრიტიკულად გამოყენების უნარი;

სწავლის უნარი

კურსდამთავრებულს აქვს:

- სხვების სწავლისა და კვლევის პროცესის დაგეგმვისა და მართვის უნარი;
- ფილოლოგიური მეცნიერებების უახლეს მიღწევებზე დაყრდნობით ახალი იდეების დამოუკიდებლად შემუშავებისა და მათი იმპლემენტაციის უნარი სწავლის, კვლევისა და პროფესიული საქმიანობის პროცესში;

ღირებულებები

კურსდამთავრებულს აქვს:

- საკუთარი პროფესიისადმი, დაკისრებული მოვალეობებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობა;
- პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნა და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა;
- ინტელექტუალური საკუთრებისადმი პატივისცემის გრძნობა და აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვის უნარი;
- ეთიკური, კულტურული და სამართლებრივი ნორმებისადმი პატივისცემის გრძნობა;
- ზოგადსაკაცობრიო, ევროპული და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისა და ღირებულებების მიმართ პატივისცემის გრძნობა;
- ევროპულ კულტურულ ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევის უნარი;
- კვლევის პროცესში ევროპული მეცნიერული ღირებულებებისა და სტანდარტების დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავებისა და მათი იმპლემენტაციის უნარი;

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლების პროცესში გამოყენებულია დასავლეთის წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილება და განათლების მეცნიერებების განვითარების უახლესი ვითარების გათვალისწინებით ჩამოყალიბებული შემდეგი მიდგომები: დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში,

დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ. აღნიშნული მეთოდების გამოყენება ხდება ლექციის, სემინარის, პრაქტიკუმის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, თარგმანის, სადოქტორო ნაშრომის და სხვ. ფორმატში. გარდა ამისა, დოქტორანტებს ეძლევათ საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის, რეცენზირებად–რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების და სხვა კვლევითი თუ სასწავლო აქტივობების განხორციელების საშუალება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: პროგრამის სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; დ) სასწავლო–სამეცნიერო ნაშრომზე (სადოქტორო ნაშრომი, თარგმანი, მოხსენება კონფერენციაზე და სხვ.) მუშაობას; ე) სადოქტორო ნაშრომის დაცვას და გამოსაქვეყნებლად მომზადებას; ვ) სხვა სახის სასწავლო–სამეცნიერო საქმიანობას ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სასწავლო კომპონენტი: სასწავლო კურსების შემთხვევაში, დოქტორანტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91–100 – ფრიადი, A; 81–90 – ძალიან კარგი, B; 71–80 – კარგი, C; 61–70 – დამაკმაყოფილებელი, D; 51–60 – საკმარისი, E; 41–50 – ვერ ჩააბარა, FX; 0–40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს (დასწრება, დასკვნითი გამოცდა და შუალედური შეფასება სავალდებულოა). სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. დასკვნითი გამოცდის შეფასების მაქსიმალური ქულა შესაძლებელია განისაზღვროს არანაკლებ 30 და არაუმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი ან კომბინირებული წერა/ზეპირი გამოცდა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით, სადაც ხელმძღვანელის მიერ იწერება შეფასება 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა), ხოლო სემინარის პრეზენტაცია ფასდება 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა), წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით.

კვლევითი კომპონენტი: დოქტორანტი ვალდებულია გაიაროს ინტერნაციონალიზაცია, რომლის ფარგლებშიც საერთაშორისო რეცენზირებისათვის წარდგენილი სტატიის შეფასება ხორციელდება 20 ქულიანი სისტემით. ნაშრომი დადებითად ფასდება, თუ ის მოაგროვებს არანაკლებ 12 ქულას. შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) შინაარსი (მაქსიმუმ 4 ქულა).

მოწმდება: პრობლემის აქტუალობა; იკვეთება თუ არა დამოუკიდებელი მსჯელობის უნარი, არის თუ არა ნათელი ავტორის მიზანი. არის თუ არა არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური. კონცენტრირებულია თუ არა სტატია ძირითად საკვლევ საკითხებზე.

ბ) ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმუმ 4 ქულა).

მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკვლევი საკითხის სიღრმისეულად, ამომწურავად შესწავლა. ავტორის პოზიცია გამყარებულია თუ არა ნათელი და სარწმუნო არგუმენტაციით. არის თუ არა საკმარისი რაოდენობის დამხმარე ლიტერატურა. არის თუ არა დამხმარე ლიტერატურა სპეციფიკური და არა ზოგადი. გვაქვს თუ არა აკადემიური და მიმდინარე შრომების ბალანსი.

გ) მონაცემთა სარწმუნოობა (მაქსიმუმ 4 ქულა).

მოწმდება: მონაცემების სისწორე. წყაროდ გამოყენებულია თუ არა კომპეტენტური ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია კარგი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ. პირველწყაროდან იღებს თუ არა ავტორი თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს. რამდენად ორგანულად ერწყმის ტექსტს მოყვანილი ციტატები. არის თუ არა მონაცემები მოყვანილი შესაბამისი წყაროებიდან და არის თუ არა ყველა ციტირებული წყარო აღნიშნული ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში.

დ) სტრუქტურა (მაქსიმუმ 4 ქულა).

მოწმდება: არის თუ არა სტატია კარგად სტრუქტურირებული. კეთდება თუ არა მეტი აქცენტი ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ხოლო უფრო ნაკლები – შედარებით ნაკლები მნიშვნელობის მქონეზე. სტატია კარგად არის თუ არა ორგანიზებული და მისი ნაწილები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია თუ არა. როგორია პარაგრაფიდან პარაგრაფზე გადასვლა. თითოეული პარაგრაფი სრულად თუ არის განვრცობილი.

ე) შედეგები (მაქსიმუმ 4 ქულა).

მოწმდება: შედეგები რამდენად არის ახალი, მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი. შემუშავებულია თუ არა ახალი მიდგომა. არის თუ არა ახალი მონაცემები ახალი დასკვნებისათვის. ხომ არ არის დასკვნებში სუსტი ადგილები. ლოგიკურია თუ არა დასკვნები.

თუ ორი დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასება არის არანაკლებ 12 ქულისა, დასკვნა დადებითია. თუ ერთი ექსპერტის შეფასება უარყოფითია, ხოლო მეორის დადებითი, სტატია ეგზავნება მესამე ექსპერტს. ორი უარყოფითი დასკვნის მიღების შემთხვევაში სტატია უბრუნდება დოქტორანტს დასამუშავებლად.

დისერტაციის შეფასება: სადისერტაციო კომისიის წევრები დისერტაციას აფასებენ ანონიმურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის ხმის დამთვლელ კომისიას გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

დადებითი შეფასება:

- 91-100 ქულა არის შეფასება summa cum laude (ფრიადი) – შესანიშნავი ნაშრომი;
- 81-90 ქულა არის შეფასება magna cum laude (ძალიან კარგი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
- 71-80 ქულა არის შეფასება cum laude (კარგი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- 61-70 ქულა არის შეფასება bene (დამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- 51-60 ქულა არის შეფასება rite (საკმარისი) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

უარყოფითი შეფასება:

- 41-50 ქულა არის შეფასება *insufficienter* (არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- 40 და ნაკლები ქულა არის შეფასება *sub omni canone* (სრულიად არადამაკმაყოფილებელი) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები: ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეძენილი მრავალმხრივი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების დახმარებით, კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას

საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით და მთარგმნელობით ცენტრებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–გამოცემები და სხვ.), სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, კომპანიებში, ფონდებსა და ორგანიზაციებში, ბიბლიოთეკებში, გამომცემლობებში, მუზეუმებში, ტურისტულ კომპანიებში, არასამთავრობო სექტორში და სხვ. ფილოლოგიის დოქტორს შეუძლია დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა თავისი სპეციალობის მიხედვით, რომელიც დადგენილია აღნიშნულ დაწესებულებათა საშტატო ნომენკლატურით.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც თსუ–ს ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. სწორედ საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პროგრამა ხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ–ტექნიკური რესურსით, შესაბამისი აუდიტორიებით, სხვადასხვა სპეციალიზებული ბიბლიოთეკებით, საკონფერენციო დარბაზებით, კომპიუტერული რესურს–ცენტრებით სტუდენტებისათვის კომპიუტერებისა და ინტერნეტის თავისუფალი წვდომით და სხვ. გარდა ამისა, დოქტორანტებს ეძლევათ საშუალება ისარგებლონ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით.

დოქტორანტების მაქსიმალური რაოდენობა: ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, აგრეთვე პარტნიორი დაწესებულების მიერ დადგენილი შეზღუდვებიდან გამომდინარე, ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამაზე შესაძლებელია წელიწადში არა უმეტეს სამი დოქტორანტის მიღება.

პროგრამის მონაწილე აკადემიური პერსონალის (დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირების) ბიოგრაფიული მონაცემები (CV): ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს, ანუ დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით და სხვა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო რეგულაციებით განსაზღვრულ სასწავლო კომპონენტს უძღვებიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები, რომელთაც აქვთ შესაბამისი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, შესაბამისი აკადემიური ხარისხი, პროფესიული, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. გარდა ამისა, პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხოციელებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია, ანუ დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობის უფლება აქვს თსუ

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის მიმართულების აკადემიურ პერსონალს და თსუ უცხოური ენების ცენტრის ფრანგული ენის მასწავლებლებს, რომელთა კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება შეესაბამება დოქტორანტის მიერ არჩეული სადისერტაციო ნაშრომის თემატიკას.

ევროპული ლიტერატურის სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები

ა) სასწავლო კომპონენტი (60 კრედიტი)

სავალდებულო კურსები / აქტივობები – 35 კრედიტი (ECTS)						
	სასწავლო კურსის დასახელება	**კრედიტების რაოდენობა ECTS**	**სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში**	**სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში**	**სემესტრი**	**ლექტორი/ები**
1	სწავლების მეთოდები	**5**	63 სთ.: ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფში მეცად. – 30 სთ., საბოლოო გამოცდა 3 სთ.	62 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ასოც. პროფ. ეთერ ღვინერია
2	მეცნიერების მენეჯმენტი	**5**	48 სთ.: ლექცია – 15 სთ., სამუშაო ჯგუფში მეცად. – 30 სთ., საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	77 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ასოც. პროფ. გიორგი ღვედაშვილი თამარ გოგუა
3	დოქტორანტის სემინარი	**15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
4	პროფესორის ასისტენტობა	**5**			შემოდგომა/ გაზაფხული	

5	აკადემიური წერა	**5**	48 სთ.: ლექცია –15 სთ., პრაქტიკუმი – 30 სთ. გამოცდის ჩაბარება – 3 სთ.	77 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ქეთევან გოჩიტაშვილი, ასოც. პროფ. გიული შაბაშვილი
არჩევითი კურსები / აქტივობები – 25 კრედიტი (ECTS)						
1	ენათა კვლევის თეორიული საფუძვლები და გამოყენებითი ასპექტები	**10**	63 სთ.: ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფში მეცად. – 30 სთ., საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	187 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	თამაზ გამყრელიძე
2	ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	**10**	36 სთ.: ლექცია – პრაქტიკუმი 30 სთ., გამოცდის ჩაბარება – 6 სთ.	214 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	მაკა ერაძე
3	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები	**10**	36 სთ.: ლექცია – 15 სთ., სამუშაო ჯგუფში მეცად. – 15 სთ., გამოცდის ჩაბარება – 6 სთ.	214 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ასოც. პროფ. ირინე დარჩია
4	ქართული წვლილი შუა საუკუნეების ევროპულ ცივილიზაციაში[1]	5	30 სთ. ლექცია – 15 სთ. სამუშაო ჯგუფში მეცად. 15 სთ.	92 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	ელგუჯა ხინთიბიძე

[1] 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრამდე აღნიშნული საგნის ნაცვლად ცხადდებოდა საგანი „ ბიბლია და ლიტერატურა“

			საბოლოო გამოცდა – 3 სთ.			
5	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა) და კულტურის ტიპოლოგია	**5**	63 სთ.: ლექცია – 30 სთ., სამუშაო ჯგუფში მეცად. – 30 სთ., საბოლოო გამოცდა – 3 სთ.	62 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	პროფ. ირმა რატიანი
6	გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები და მეთოდები სემანტიკა–პრაგმატიკა 1	**5**	30 სთ. (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 4 სთ.), დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 6 სთ.	89 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	პროფ. ლალი ქეცბა–ხუნდაძე, სებასტიან ლიობნერი
7	გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები და მეთოდები სემანტიკა–პრაგმატიკა 2	**5**	30 სთ. (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 4 სთ.), დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად განკუთვნილი დრო – 6 სთ.	89 სთ.	შემოდგომა/ გაზაფხული	პროფ. ლალი ქეცბა–ხუნდაძე, სებასტიან ლიობნერი

8	დოქტორანტის სემინარი	**15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
9	პროფესორის ასისტენტობა	**15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
10	საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	**5–25**			შემოდგომა/ გაზაფხული	
11	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	**5–15**			შემოდგომა/ გაზაფხული	
12	უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსები	**5–30**			შემოდგომა/ გაზაფხული	
13	სხვა სახის აქტივობა	**5–10**			შემოდგომა/ გაზაფხული	
14	ანტიკური ტექსტები ციფრული ჰუმანიტარიის კონტექსტში	**5**	48 სთ. ლექცია - 15 სთ. სემინარი - 30 სთ. შუალედური შეფასება - 2 სთ. საათი დასკვნითი გამოცდა - 3 სთ	**77სთ**	შემოდგომა/ გაზაფხული	ირინე დარჩია, ლევან გორდეზიანი, მაია შუხოშვილი

ბ) კვლევითი კომპონენტი (120 კრედიტი)

სავალდებულო – 120 კრედიტი (ECTS)

	აქტივობის სახე	**კრედიტების რაოდენობა**	**სემესტრი**	
1	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	20 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული	
2	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	20 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული	
3	სადისერტაციო ნაშრომი	80 კრედიტი	შემოდგომა/გაზაფხული	

სწავლის შედეგების რუკა – სადოქტორო პროგრამა „ევროპული ლიტერატურა“

N	საგანი/მოდული	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	სასწავლო კომპონენტი						
	სავალდებულო						
1	სწავლების მეთოდები	X	X	X	X	X	X
2	მეცნიერების მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
3	დოქტორანტის სემინარი	X	X	X	X	X	X
4	პროფესორის ასისტენტობა	X	X	X	X	X	X
5	აკადემიური წერა	X	X	X	X	X	X
	არჩევითი						
6	ენათა კვლევის თეორიული საფუძვლები და გამოყენებითი ასპექტები	X	X	X	X	X	X
7	ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა	X	X	X	X	X	X
8	საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების თანამედროვე მეთოდები	X	X	X	X	X	X
9	ბიბლია და ლიტერატურა	X	X	X	X	X	X
10	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (კომპარატივისტიკა) და კულტურის ტიპოლოგია	X	X	X	X	X	X
11	გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები და მეთოდები სემანტიკა–პრაგმატიკა 1	X	X	X	X	X	X
12	გერმანული ენათმეცნიერების მიმართულებები და მეთოდები სემანტიკა–პრაგმატიკა 2	X	X	X	X	X	X
13	დოქტორანტის სემინარი	X	X	X	X	X	X
14	პროფესორის ასისტენტობა	X	X	X	X	X	X
15	საზღვარგარეთის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	X	X	X	X	X	X

16	საქართველოს სხვა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში მოსმენილი სადოქტორო კურსები	X	X	X	X	X	X
17	უნივერსიტეტის სხვა სადოქტორო პროგრამების სასწავლო კურსები	X	X	X	X	X	X
	კვლევითი კომპონენტი						
18	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	X	X	X	X	X	X
19	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	X	X	X	X	X	X
20	სადისერტაციო ნაშრომი	X	X	X	X	X	X